ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49.49220172**
თარიღი:**17/01/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 2

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482201069; 10/01/2022) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე ანდრო ხარაბაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსაგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

„ ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 დეკემბრამდე გადასახდელი საიჯარი ქირის ნაწილი 270,16 ლარის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით 2022 წლის 15 სექტემბრამდე. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამიდად ,წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი